მკვდარი ზღვა

უცნაურია არა? რატომ შეიძლება ზღვას უწოდონ „მკვდარი"? ის ხომ წესით მოძრავი, ცოცხალი და მღელვარეა. წაიკითხე ეს ტექსტი და ყველაფერს მიხვდები.

მკვდარი ზღვის მსგავსს დედამიწაზე ვერაფერს ნახავთ. სახელის მიუხედავად, იგი ულამაზესია. ეს ზღვა ისრაელში, იუდეის უდაბნოში, მდებარეობს. მოქცეულია კლდოვან მთებს შორის. მკვდარი ზღვა ერთ-ერთი დაბალი წერტილია ხმელეთზე. იგი ზღვის დონიდან 422 მეტრით დაბლა მდებარეობს. მისი მაქსიმალური სიღრმე 378 მ-ია, სიგრძეში კი 67 კმ-ია.

ალბათ, გაინტერესებს, რატომ ეწოდა ზღვას მკვდარი. საქმე ისაა, რომ ამ ზღვის წყალი ძალიან მლაშეა, ოკეანის წყალზე ცხრაჯერ **მლაშე**. ამიტომაც არის ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის მომაკვდინებელი.

რატომ არის მკვდარი ზღვა ასეთი მლაშე? როგორც იცი, მკვდარ ზღვას წყლით მდინარე იორდანე კვებავს. მას წყალში 800 ტონაზე მეტი სხვადასხვა მარილი ჩააქვს. ვინაიდან მკვდარი ზღვა ხმელეთის ყველაზე დაბალ ნაწილშია, წყალი იქიდან ვერ გაედინება. წყლის დონე მხოლოდ აორთქლების გზით იკლებს. ამას კი ხელს უწყობს იქაური ცხელი კლიმატი. მარილები და სხვა მინერალები არ ორთქლდება, ისინი ზღვაში რჩება. ამიტომ არის მკვდარი ზღვა ყველაზე მლაშე. ასეთ გარემოში ცოცხალი ორგანიზმი ვერ ძლებს. მაგალითად, მდინარე იორდანეს უამრავი თევზი ჩაჰყვება ზღვაში. მაგრამ ისინი მაშინვე იხოცებიან. მარილის კრისტალებით დაფარული თევზები ზღვის ზედაპირზე ტივტივებენ ხოლმე.

მკვდარ ზღვაში ბანაობა ძალიან სასარგებლოა. მკვდარი ზღვის წყალი ხომ მინერალებით არის მდიდარი. გარდა ამისა, იქ ნაკლებად არის მზის ულტრაიისფერი სხივები. ცნობილია, რომ ამ სხივების ზედმეტი რაოდენობით მიღება კანის დამწვრობას იწვევს. ამიტომ მკვდარ ზღვაში ბანაობა და მზის აბაზანის მიღება საშიში სულაც არ არის. თურმე ამ ზღვას უძველესი დროშიც კი იყენებდნენ სამკურნალოდ.

მარილის შემცველობის გამო მკვდარ ზღვაში ცურვა ძნელია. სამაგიეროდ, **ტივტივია** ადვილი. არ დაიჯერებ, მაგრამ შეგიძლია წყალზე „წამოგორდე" და გაზეთი იკითხო.

მკვდარ ზღვას დღესაც ბევრი სტუმარი ჰყავს. ისრაელში ყოველ წელს უამრავი ტურისტი ჩადის მკვდარ ზღვაში სატივტივოდ, ასევე, მინერალებით მდიდარი ტალახის წასასმელად.

ტექსტი გადანუშავებულია ბაკურ სულაკაურის „მსოფლიოს საოცრებების" მიხედვით.

რატომ ეძახიან ზღვას მკვდარს და რით არის ის სასარგებლო?

კომპონენტი: *მიზნი-შედეგი*, **დონე:** *4.2*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 მკვდარ ზღვას ასე იმიტომ უწოდეს, რომ:

ა) იგი იერუსალიმში, იუდეის უდაბნოში, მდებარეობს.

ბ) იგი ცხელი კლიმატის გამო ყოველდღე ორთქლდება.

გ) მასში ვერცერთი ცოცხალი ორგანიზმი ვერ ძლებს.

2 მკვდარი ზღვიდან წყალი ვერ გაედინება, რადგან:

ა) ზღვას ირგვლივ კლდოვანი მთები აკრავს.

ბ) ზღვა ხმელეთის ყველაზე დაბალ წერტილშია.

გ) ზღვის წყალი ძალიან სწრაფად ორთქლდება.

3 მკვდარ ზღვაში ტივტივი ადვილია, რადგან:

ა) იგი ზღვის დონიდან ძალიან დაბლაა.

ბ) მისი სიღრმე 378 მეტრს არ აღემატება.

გ) მისი წყალი ძალიან მარილიანია.

4 მკვდარი ზღვის წყალი ადამიანებისთვის სასარგებლოა, რადგან:

ა) იგი ორგანიზმისათვის საჭირო მინერალებით არის მდიდარი.

ბ) მის ზედაპირზე ტივტივი და გაზეთის კითხვა არის შესაძლებელი.

გ) შიგ მარილის კრისტალებით დაფარული თევზები ტივტივებენ.

5 ტექსტში <u>არ ჩანს</u>, თუ:

ა) რატომ არის ძნელი მკვდარ ზღვაში თავისუფლად ცურვა.

ბ) რატომ სტუმრობს მკვდარ ზღვას ყოველ წელს უამრავი ტურისტი.

გ) რატომ არის მკვდარ ზღვაზე ნაკლები ულტრაიისფერი სხივები.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. მკვდარი ზღვა ისრაელში, იუდეის **უდაბნოში**, მდებარეობს. **უდაბნო** ჰქვია:
   ა) ნესტიან, გამწვანებულ, დაუსახლებელ ადგილს.
   ბ) უღრან, გაუვალ, დაუსახლებელ ადგილს.
   გ) უწყლო, უმცენარო, დაუსახლებელ ადგილს.

2. მკვდარი ზღვის წყალი ძალიან **მლაშეა**.
   ა) მარილიანია. ბ) სუფთაა. გ) ტალახიანია.

3. მკვდარ ზღვას მდინარე იორდანე **კვებავს**.
   ა) თევზით ამარაგებს. ბ) მარილით ამარაგებს. გ) წყლით ამარაგებს.

4. მკვდარ ზღვაში ადამიანს მხოლოდ **ტივტივი** შეუძლია. **ტივტივი** ნიშნავს:
   ა) წყალში სწრაფად ცურვას.
   ბ) წყალში ღრმად ყვინთვას.
   გ) წყლის ზედაპირზე ნელა მოძრაობას.

2 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) ნაკლები – მეტი. ბ) სიგანე – სიგრძე. გ) ძნელი – რთული.

▶▶▶ გრამატიკა

1 წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები დაწერე სწორი ფორმით.

1. მკვდარი ზღვის (*მსგავსი*) ---------- დედამიწაზე ვერაფერს ნახავთ.
2. ამბობენ, რომ (*მკვდარი*) ---------- ზღვაში უძველესი დროიდან მკურნალობდნენ.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. ის ზღვის ---------- 422 მ-ით დაბლაა. (***დონიდან /დონისაგან***)
2. ისრაელში ყოველ წელს უამრავი ---------- ჩადის. ***(ტურისტი / ტურისტები)***

3 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ტივტივი (რა?) – სატივტივოდ (რისთვის?).

1. ცურვა – ---------- . 2. ნახვა – ---------- .

გრამატიკა

4 **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.**

	[X] *სამაგიეროთ.*	[ ] *სამაგიეროდ.*
1.	[ ] ყოველი წლები.	[ ] ყოველი წელი.
2.	[ ] წასასმელად.	[ ] წასასმელათ.
3.	[ ] ჩაჰყვება.	[ ] ჩაყვება.
4.	[ ] მზგავსი.	[ ] მსგავსი.

წერა

1 **ტექსტის მიხედვით შეავსე სქემის მეორე სვეტი.**

შედეგი	მიზეზი
1. მკვდარი ზღვა მლაშეა,	რადგან ...
2. მკვდარ ზღვას მუდმივად ემატება მარილი,	რადგან ...
3. ზღვის წყალი ორთქლდება, მაგრამ მარილი წყალში რჩება,	რადგან ...
4. მკვდარ ზღვაში ცოცხალი ორგანიზმები არ არიან,	რადგან ...
5. მკვდარ ზღვაში ადამიანი არ იძირება,	რადგან ...
6. მკვდარ ზღვაზე ადამიანს კანი არ ეწვება,	რადგან ...

2 **წარმოიდგინე, რომ შენ მოინახულე მკვდარი ზღვა. მისწერე მეგობარს წერილი და გაუზიარე შენი შთაბეჭდილებები. ჯერ აღწერე გარემო. შემდეგ დაასახელე სამი მიზეზი მაინც, რის გამოც ღირს მისი მონახულება.**